საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №22

ქ.თბილისი **29.09.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს - ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღამსრულებელი დირექტორი;სხდომის მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ნიკოლოზ ალექსიძე - შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

კონსტანტინე თოფურია;
მეგი შენგელაია;
მარიამ დალაქიშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სხდომა დაიწყო 15:20 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3.შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4.შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა და აცილება არ ყოფილა. დღის წესრიგი დამტკიცდა პირველადი სახით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარეებმა და საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვიშეფასების ანგარიშები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი დემოგრაფიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	120

დაწესებულების წარმომადგენელი, თამარ ვეფხვაძე მიესალმა საბჭოს, უსურვა წარმატებები სამომავლო საქმიანობაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ დემოგრაფიის საკითხი საკმაოდ პრობლემური იყო საქართველოში და მთელ მსოფლიოში, მისი თქმით, ათიოდე წლის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ოთხ საფრთხეზე მიუთითა, მათ შორის ერთერთი იყო დემოგრაფია, მოსახელობის რაოდენობის სწრაფ მატებასთან ერთად დიდი პრობლემები იყო მოსალოდნელი, საქართველოში კი საქმე სხვაგვარად იყო, მწვავე დემოგრაფიული კრიზისის საფრთხის წინაშე იდგა ქვეყანა და მნიშვნელოვანი იყო კვალიფიციური კადრების მომზადება ამ მიმართულებით.

ვაჟა ლორთქიფანიძის განცხადებით, შესაბამისი კათედრა წარსულში არსებობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2001 წლიდან 2006 წლის ჩათვლით, დაწესებულება შესაბამისი მიმართულებით ახორციელებდა სამაგისტრო პროგრამას, კათედრის დახურვის შემდეგ შესაბამისი მიმართულებით კადრები აღარ მზადდებოდა, ამდენად პროგრამის განხორციელება, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. პროგრამის შემუშავებისას, ნაწილობრივ, წარსული გამოცდილებაც იქნა გამოყენებული და შექმნა სამაგისტრო პროგრამა. განსხვავება ამ შემთხვევაში იყო ის, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო მოსახლეობის დემოგრაფიის საკითხები, საკვალიფიკაციო ჩარჩოშიც ერთად იყო წარმოდგენილი და ბატონ რევაზ გაჩეჩილაძესთან შეთანხმებით, გადაწყდა, რომ პროგრამა ერთად შეემუშავებინათ, ამდენად, თანაავტორობით შეიქმნა. მისი თქმით, პროგრამის შექმნაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დემოგრაფები და სხვა სპეციალისტები.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, პროგრამას ჰქონდა შესაბამისი მხარდაჭერა სხვადასხვა უწყებიდან, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სტატისტიკური აღრიცხვის ცენტრთან, სადაც სტუდენტები გაივლიდნენ პრაქტიკას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სამეცნიერო კომპონენტი, ამ მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება დემოგრაფიული განვითარების ხელშემწყობ ცენტრთან. ასევე, პროგრამას მხარდაჭერა ჰქონდა დემოგრაფთა ასოციაციიდან რომელის პრეზიდენტიც თავად იყო პროგრამის ხელმძღვანელი. თავის მხრივ, სტუდენტების მხრიდან დიდი იყო პროგრამის მიმართ ინტერესი, მოხარულები და მადლიერები იქნებოდნენ, თუ აკრედიტაციის საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას პროგრამის აკრედიტაციის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, საინტერესო მოსაზრებებისთვის და აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე მოსაზრებები სრულად იყო გათვალისწინებული და სამომავლოდ კიდევ უფრო დაიხვეწებოდა პროგრამა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მართლაც აქტუალური პროგრამა იყო წარმოდგენილი და მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯოდმარეს, როდესაც დასკვნაში დაფიქსირდა ექსპერეტთა ჯგუფის შეფასებები და მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე, საქმე ეხებოდა რეკომენდაციებს თუ პრინციპულ წინააღმდეგობებს.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მეგი შენგელაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განხორციელება, მოხარული იყო, რომ ამ მიმართულებით რა ტრადიციაც არსებობდა საქართველოში, არ დაიკარგებოდა. ექსპერტმა გამოხატა პროგრამის მიმართ მხარდაჭერა. ამასთან, გააცნო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა.

მეგი შენგელაიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა პროგრამა, თუმცა, შეიმუშავა რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, წარუდგინა საბჭოს შესაბამისი მოსაზრებები:

- პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, სასურველია, პროგრამაში მეტად გამახვილდეს ყურადღება ურბანიზაციის დემოგრაფიულ ასპექტებზე;
- სასურველია, ასევე, პროგრამაში მკვეთრად გამოიხატოს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების როლი დემოგრაფიული პროცესების განვითარებაში. წარმოჩინდეს პროცესების ანალიზი საქართველოს მთიან და ბარის რეგიონებში;
- სასურველია, პროგრამაში მეტად გამახვილდეს ყურადღება დემოგრაფიული პროცესების როლზე განსახლების საკითხებში;
- სასურველია, კვლევის მეთოდების სასწავლო კურსს დამხმარე ლიტერატურის სახით დაემატოს შესაბამისი მიმართულებით განხორციელებული უახლესი კვლევები, რაც სტუდენტს დაეხმარება დაინახოს კავშირი მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკას შორის;
- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურიაში გათვალისწინებული არ იყოს რუსულენოვანი ლიტერატურა, რადგან რუსული ენის ცოდნა არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და ამდენად, სტუდენტმა შესაძლოა ვერ აითვისოს შესაბამისი მასალა. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტები ე.წ. რიდერებით ან შესთავაზოს შესაბამისი ალტერნატიული ლიტერატურა ქართულ ან ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის რამდენიმე სილაბუსში ვიზიტის ფარგლებშივე განხორციელდა შესაბამისი კორექტირების შეტანა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხებზე მსჯელობა ვიზტის განმავლობაში ჰქონდათ, განიხილეს და დაწესებულების წარომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ იყო ექსპერტთა ჯგუფში განსხვავებული მოსაზრება. ექსპერტმა მარიამ დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციები შეიმუშავა ერთობლივად და წარმოდგენილ იქნა შეჯერებული პოზიცია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად არსებობდა შესაბამისი ლიტერატურის რესურსი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უკვე გათვალისწინებული იყო შესაბამისი მოსაზრება, ლიტერატურასთან დაკავშირებით, ამ მიმართლებით უკვე გადაიხედა რამდნეიმე სილაბუსი და შეიცვალა რუსულენოვანი ლიტერატურა. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ასევე გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის სხვა რეკომენდაციებიც, რამდენიმე დისციპლინა ამ მიმართულებით გადახალისდა, კვლევის კომპონენტთან დაკავშირებითაც, შესაბამისი ცვლილება გათვალისწინებულ იქნა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, დაახლოებით 8-10 სტუდენტი ჩაირიცხებოდა პროგრამაზე, რაც ოპტიმალური რაოდნეობა იყო განსაზრვრული რესურსებიდან გამომდინარე.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მართლაც აუცილებელი იყო შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, დასაქმების ბაზარზე დიდი იყო შესაბამისი კადრების მოთხოვნა, აღნიშნული თქმის საფუძველს იძლეოდა რამდენიმე მინისტრთან, ასევე,

პარლამენტის აპარატის თანამშრომლებთან საუბარი, ძალზედ სუსტი იყო საკანონმდებლო ბაზაც.

ვაჟა ლორთქიფანიძემ ასევე აღნიშნა, რომ არ ელოდა პირველივე წელს ასეთი აქტივობის დაფიქსირებას, პროგრამაზე ჩაიცხვის სურვილი უკვე აბიტურიენტს ჰქონდა. ამ მიმართულებით ჩაატარეს გასაუბრებები და კარგად მომზადებული ახალგაზრდები მოვიდნენ, კონკურსი დიდი იყო. ამდენად, პროგრამის განმახორციელებელი გუნდი ოპტიმიზმით იყო განწყობილი.

პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, სამომავლოდ ერთობლივი პროგრამების შექმნაც იგეგმებოდა. ამ მხრივ, გეგმავდნენ თანამშრომლობას დასავლეთის ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან, ჰქონდათ შესაბამისი მოლაპარაკებები. პარტნიორებად მოიაზრებოდნენ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, პენსილვანიის უნივერსიტეტი, კაიროს დემოგრაფიული ცენტრი. წარსულში მათთან თანამშრომლობის ფარგლებში 1-2 სტუდენტი, როგორ წესი, მიემგზავრებოდა შესაბამის ცენტრში, სასწავლებლად და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ამ ეტაპზეც მოსინჯეს შესაბამისი მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, საგარეო საქმეთა სამინისტროთანაც შესაბამისი მოლაპარაკებები შედგა. ასევე, გაცვლით პროგრამებთან დკავაშირებით პარიზის დემოგრაფიის ცენტრთანაც მოხერხდა შეთანხმება.

ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე წარმოდგენილმა პროგრამამ, დიდი მუშაობა იყო ჩატარებული. ასევე, წარმოდგენილი იყო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსი „განვითარების გეოგრაფია", რომელიც ამ ეტაპზე იკრებდა ძალას მსოფლიოს მასშტაბით. მისი მოსაზრებით, პროგრამას კიდევ უფრო გააძლიერებდა სასწავლო კურსის „სოციალური პოლიტიკის" დამატება. იგივე მოსაზრება ჰქონდა საბჭოს წევრს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ სამ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

ვაჟა ლორთქიფანიძე დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ სამომავლოდ, შესაძლებელი იყო აღნიშნულის გათვალისწინება.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, როდესაც ექსპერტთა რეკომენდაციებში საუბარი იყო ლიტერატურაზე, სასწავლო კურსის „ახალი დემოგრაფიული სტატისტიკის" შემთხვევაში, გამოყენებული იყო 90-იანი წლების ლიტერატურა, ამ ეტაპზე წარმოდგენილი იყო ლიტერატურა უკვე განახლებული, თუმცა, არა ქართულ ენაზე. მისი თქმით, აღნიშნული საგნის კარგად სწავლა უნდა ყოფილიყო ბაზისი, სტატისტიკა უნდა სცოდნოდა კარგად. მისთვის მიუღებელი იყო 90-იანი წლების ლიტერატურა ამ მიმართულებით. ასევე, დაინტერესდა, პროგრამის ადამიანურ რესურსს რამდენად ჰქონდა შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია, აღნიშნულის ასათვისებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზემოაღნიშნულ კურსს ახორციელებდა ანზორ სახვაძე, რომელიც დემოგრაფიული სტატისტიკის წამყვან სპეციალისტად მოიაზრებოდა. მისი თქმით, ამ მიმართულებით ქართული ლიტერატურის მწვავე დეფიციტი იყო. ლიტერატურა ახალი და აქტუალური კი არსებობდა, თუმცა, ინგლისურ ენაზე. აღნიშნულის მიუხედავად, ძირითადი მიდგომები, მეთოდოლოგია და ა.შ. არ შეცვლილა და ლიტერატურა, რომელიც შესაბამის სილაბუსში იყო მითითებული, წარმოადგენდა კლასიკას შესაბამისი მიმართულებით და ყველა ახალ წიგნში კვლავ მას ეყრდობოდნენ. თუმცა, შეეცდებინოდნენ ამ ეტაპზე ელექტრონული რესურსების შემოტანას პროგრამაში ინგლისურ ენაზე, ასევე, შესაძლებელი იყო სამომავლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურის თარგმნაც.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რატომ მოხდა პროგრამაზე უკვე სტუდენტების მიღება, მაშინ, როდესაც პროგრამა აკრედიტაციის ეტაპზე იმყოფებოდა.

თამარ ვეფხვაძის განმარტებით, აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დაწესებულება მხოლოდ პირველი სექტემბრიდან იყო უფლებამოსილი წარმოედგინა სააკრედიტაციო განაცხადი. პროგრამის დამატებისთვის არსებობდა ორი ფიქსირებული თარიღი, ერთი - როდესაც დაწესებულებას ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური

ანგარიშის წარმოდგენის გზით შეეძლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება და მეორე - როდესაც აკრედიტაციის გზით შეძლებდა დაწესებულება პროგრამის დამატებას. ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი არ ყოფილა რეგულირებადი ან სადოქტორო პროგრამა, რომელიც აუცილებლად საჭიროებს აკრედიტაციის გავლას, მიმდინარე კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილ შემთხვევაში, დაწესებულებას შეეძლო ავტორიზაციის გზით პროგრამის დამატება, თუმცა, მოკლე პერიოდში, ასევე აპირებდნენ წარმოედგინათ სააკრედიტაციოდ, ამდენად, მიიჩნიეს, რომ უმჯობესი იქნებოდა პროგრამა დაემატებინათ აკრედიტაციის გზით. სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით, თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ საცდელად გამოაცხადეს მიღება, ცენტრში წარმოდგენილ კორესპოდენციაშიც დაფიქსირებული ჰქონდათ სურვილი სტუდენტების მიმდინარე წელს მიღებასთან დაკავშირებით, დაფიქსირდა დიდი ინტერესი, პოტენციური სტუდენტები შეარჩიეს, თუმცა, არ ჩაურიცხავთ, ამისათვის ვადა 7 ოქტომბერს იწურებოდა, მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში აპირებდნენ პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვას, სწავლასაც შედარებით გვიან იწყებდნენ სამაგისტრო პროგრამებზე.

თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება, მაგისტრანტები როდის იწყებდნენ სწავლას, საუნივერსიტეტო მასშტაბით. წარმომადგენლემა დააზუსტა, რომ სწავლა სამაგისტრო პროგრამაზე დაწესეულებაში პირველ ოქტომბერს იწყებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მთელი გასული წლის განმავლობაში წარმოდგენილ პროგრამაზე მუშაობდნენ, არაერთი თვე დაიხარჯა, საბოლოოდ მაისის დასაწყისში იქნა წარმოდგენილი სრული ვარიანტი და უფრო ადრე პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენა ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რადგან მომდევნო საკითხები ერთსა და იმავე პროგრამას ეხებოდა და რეკომენდაციებიც ანალოგიური იყო, საკითხები ერთად განეხილათ.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

3. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტმა, მარიამ დალაქიშვილმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის ეფექტური მართვისა და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სასურველია შეიქმნას ერთიანი პორტალი, სადაც განთავსდება ინფორმაცია პროგრამის შესახებ სამივე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის;

- პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებაში შემუშავებულია ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები,სასურველია სამივე პარტნიორმა უნივერსიტეტმა შეიმუშავოს უნიციფიცირებული გამოკითხვის ფორმები;
- სტუდენტის მეტი ინფორმირებულობის მიზნით, სასურველია პროგრამაში დაკონკრეტდეს დაშვების წინაპირობები, კერძოდ რას გულისხმობს გასაუბრება სოციალურ მეცნიერებებში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პროგრამით და სთხოვეს დაწესებულებების წარმომადგენლებს უფრო დეტალურად ესაუბრათ პროგრამაზე. პროგრამის შესახებ ისაუბრეს ნინო ჩუბინიძემ და თამარ ვეფხვაძემ. მათ აღნიშნეს, რომ ტემპუსის პროექტის კოორდინატორი ამ პროგრამაზე კავკასიის უნივერსიტეტიდან იყო თავად ნინო ჩუბინიძე, პროგრამის ხელმძღვანელი და ტემპუსის კოორდინატორი პროგრამაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გახლდათ იაგო კაჭკაჭიშვილი, რომელიც სამწუხაროდ არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას და მაკა კვაჭაძე - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან.

ნინო ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა საერთო იყო სამივე უნივერსტეტისათვის. 2013 წელს წარედგინა ტემპუსს, მიმდინარე წლის 8 იანვარს დაიწყო უნივერსიტეტებში მზადება, საბოლოო სახით პროგრამის დამტკიცება მოხდა ზაფხულში და სექტემბერში წარედგინა ცენტრს აკრედიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს 3 წლის განმავლობაში ინტენსიურ შეხვედრებს - კოორდინატორების შეხვედრებს, პროფესორების გაცვლას და ა.შ. პროგრამაზე იგეგმებოდა 30-35 სტუდენტის მიღება, 10-12 თითოეული დაწესებულებიდან.

შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მაკა კვაჭაძემ პორტალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობდა პორტალი რომელსაც ახორციელებს ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, ეს იყო ინგლისურენოვანი პორტალია 2014 წლის დეკემბრიდან იგეგმება ქართულენოვანი პორტალის მომზადება სადაც განთავსდებოდა ასევე სამეცნიერო სტატიები და სხვა.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა პროგრამის სტრუქტურით დაწესებულებებში.

მაკა კვაჭაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ერთნაირი იყო განსხვავდებოდა გარკვეული ბლოკები, კერძოდ კავკასიის უნივერსიტეტში იყო ეკონომიკის ბლოკი, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში - სამართლის ბლოკი, ხოლო თსუ-ში სოციოლოგიის ბლოკი. თამარ ვევხვაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად ჩარიცხვისა იქნებოდა ერთი ჯგუფი, საბოლოო ჯამში სტუდენტი აიღებდა იმ დაწესებულების დიპლომს სადაც ჩაირიცხებოდა.

მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, როგორ მოხდებოდა საგნების არჩევა. ნინო ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალურად შეურჩევდნენ სტუდენტს საგანს, ხოლო პორტალების ინტეგრაციის შემდეგ ავტომატურად მოხდებოდა. ნინო ჩუბინიძემ ასევე აღნიშნა, რომ ყველა დაწესებულებას თავისი რესურსი ჰქონდა, პროგრამის ხელმძღვანელის და კოორდინატორის სახით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციით, დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ იგეგმებოდა 27 სტუდენტის სტაჟირებაზე გაგზავნა 3-4 კვირით უცხოეთში, თეზისზე სამუშაოდ. საბოლოოდ სტუდენტები დაიცავდნენ სამაგისტრო ნაშრომს.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ალექსიძე დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომი რა ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი და რაიმე პრობლემა ხომ არ შეიქმნებოდა რადგან პროგრამა ქართულენოვანი იყო. ნინო ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ თეზისის მომზადება და დაცვაც ქართულ ენაზე იქნებოდა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იქნებოდა ქართული მხარიდან, ხოლო თანახელმძღვანელი პარტნიორი უნივერსიტეტიდან. თანახელმძღვანელებს მიეწოდებოდათ თარგმანი.

ნათელა სახოკია დაინტერესდა ეკონომიკის მიმართულებით საქართველოს სპეციფიკა რომელიმე საგანში ან საგანთა ჯგუფში ისწავლებოდა დაწესებულების

წარმომადგენელმა, მაია გონაშვილმა აღნიშნა, რომ ისწავლებოდა საქართველოს შედარებითი ანალიზი.

თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას საერთო სამაგისტრო გამოცდები განსაზღვრავდა ფაქტობრივად, ეს იყო B ტიპის ტესტი, სამომავლოდ კარგი იქნებოდა თუ მინისტრის ბრძანება გაითვალისწინებდა რამდენიმე ტესტის ტიპით ჩარიცხვის საშუალებას.

გიორგი კამკამიძემ აღნიშნა, რომ ჯობდა პროგრამის კვალიფიკაცია კონკრეტულ სპეციალიზაციაზე გასულიყო. ამასთან დაკავშირებით თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კვალიფიკაცია მიენიჭებინათ მიმართულებიდან.

16:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 17:05 საათზე.
თამჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0).

გიორგი კამკამიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ რეკომენდაციები, რომელთა შესრულება სასურველი იქნებოდა, კერძოდ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამაში შესაძლებელი ყოფილიყო რუსული ენის სწავლებაც, ხოლო ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოფილიყო არა ზოგადი, არამედ უფრო კონკრეტული (სპეციალიზაცია).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
მაგდა მაღრაძე